ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3074360

ნომერი: AR1469946

თარიღი : 11.01.2017

გაცემის თარიღი : 31.01.2017

გაცნობის თარიღი : 31.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/110) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კუჭუხიძე პ/ნ 01017016794
- თბილისი თ.აბაკელიას ქ. N 11 ბ. 2

ორგანიზაცია:

- შპს კოფი თაიმი კოდი: 405157048

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
- „ფაილის მიმაგრება“-ს ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთი საკადასტრო გეგმა, საპროექტო კიბის დატანით და გაბარიტული ზომების მითითებით.
- იმ შემთხვევაში თუ კიბის მოწყობა ხორციელდება N 01.10.13.033.109 საკადასტრო საზღვრებში, საჭიროაღნისნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, ხოლო თუ საპროექტო კიბის საფეხურების ეწყობა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, ასეთ შემთხვევაში საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.
- ასევე წარმოდგენილი არასაცხოვრებლი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია 5 წლის ვადით და საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას; ასევე სამსახურს მომართავს დამქირავებლის - შპს „კოფი თაიმის“ დირექტორი გიორგი კუჭუხიძე (განცხ. B16135699, 30/09/2016 11:53:25) და მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელების ინტერესიც აქვს მას. ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქონებას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 07.12.2014 წლის N12/7348-14 განჩინების საფუძველზე ადევს ყადაღა, შესაბამისად წარმოსადგენია სასამართლოს 07.12.2014 წლის N12/7348-14 განჩინება
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.